IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

მაისი, 2017

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - საერთაშორისო კონფერენცია

IDFI-მ ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას: „სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.“

შესყიდვების თემაზე მომუშავე საერთაშორისო ექსპერტებმა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან წარმოადგინეს ამ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების შედეგები, იმსჯელეს არსებულ პრობლემებსა და მათ მოგვარების გზებზე.

იხილეთ მეტი

კოალიციის განცხადება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცებაზე

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროულად გასცეს პასუხი საქმესთან დაკავშირებულ კითხვებს, მათ შორის თუ როგორ გადაკვეთა საქართველოს საზღვარი თბილისის ცენტრიდან გაუჩინარებულმა ჟურნალისტმა, რომელსაც გავრცელებული ინფორმაციით თან არ ჰქონდა პასპორტი.

იხილეთ მეტი

განცხადება მოსამართლეების ლ. მურუსიძისა და მ. სულხანიშვილის შესაძლო უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით

მოვუწოდებთ:

საქართველოს პარლამენტს - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 1 ივლისამდე განსახორციელებელი ცვლილებებით, ასევე მოაწესრიგოს სამწლიანი ვადით უკვე გამწესებული მოსამართლეების საკითხი. პარლამენტმა შესაძლოა საკითხი მოაწესრიგოს იმგვარად, რომ უკვე განწესებულ მოსამართლეებს უფლება მიეცეთ სამწლიანი ვადის ამოწურვამდე მიმართონ საბჭოს მათი უვადოდ გამწესების საკითხზე, რა დროსაც საბჭო ინდივიდუალურად იმსჯელებს თითოეულ ასეთ განცხადებაზე და მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს- გაითვალისწინოს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელობა და არ მიიღოს სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნის გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ ახალი რეგულაციების მიღებამდე.

იხილეთ მეტი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება

რა ხარვეზებს მოიცავს დღეს არსებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და რა ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის და კონკურენციის პრინციპები, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზე. ამ კითხვებზე პასუხისთვის იხილეთ IDFI-ის კვლევა: “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება”.

იხილეთ მეტი

არასამთავრობო ორგანიზაციები აფგან მუხთარლის იძულებით გაუჩინარების ფაქტს ეხმიანებიან

ხელმომწერი ორგანიზაციები უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ 29 მაისს საღამოს თბილისში აზერბაიჯანელი აქტივისტისა და ჟურნალისტის აფგან მუხთარლის სავარაუდო იძულებითი გაუჩინარების ფაქტის გამო, რომელიც როგორც მისი ადვოკატის მიერ გავრცელებული უკანასკნელი ინფორმაციით ირკვევა, თბილისში, საკუთარ სახლთან

დააკავეს და ძალით ჩასვეს მანქანაში. ადვოკატის ინფორმაციით, დამკავებლებს თავი არ წარუდგენიათ, თუმცა, მუხთარლის აზრით, ისინი საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ. როგორც აფგან მუხთარლის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს ტომარა ჩამოაცვეს თავზე და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიჰყავდათ მანქანით გაურკვეველი მიმართულებით. მანქანა ორჯერ გამოიცვალეს. მუხთარლის თქმით, მესამე მანქანაში აზერბაიჯანულად ლაპარაკობდნენ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სიტყვებით, როცა მას ტომარა მოხსნეს, იგი აზერბაიჯანის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იმყოფებოდა. მუხთარლის თქმით, მას 10 ათასი ევრო ჩაუდეს. აზერბაიჯანის ხელისუფლება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და კონტრაბანდის ბრალდებებს უყენებს.

იხილეთ მეტი

კოალიციის მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის ახალ პროექტზე

კოალიციამ ვენეციის კომისიას გაუგზავნა დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კოალიციის მოსაზრებებს სასამართლოს ხელისუფლების თავზე კონსტიტუციის ახალ პროექტში. კოალიცია პრობლემურად მიიჩნევს რამდენიმე ცვლილებას, მათ შორის დებულებებს, რომლებიც ეხება იუსტიციის საბჭოს დაკომპელქტების წესს, მოსამართლეთა გამოსაცდელ ვადას, მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას, და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესს.

იხილეთ მეტი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტს

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოგმართავთ, რომ გაითვალისწინოთ შემდეგი წინადადებები:

პარლამენტის მხოლოდ პროპორციული წესით დაკომპლექტების შენარჩუნების პირობით, მანდატების განაწილების წესი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან და გამოყენებული იქნეს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების წესი და საარჩევნო ზღურბლი შემცირდეს 3 პროცენტამდე.

იხილეთ მეტი

არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ აუდიტორსა და ოთარ ფარცხალაძის ინციდენტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანებიან

მიგვაჩნია, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია კონსტიტუციური ორგანოს ხელმძღვანელის მიმართ, სავარაუდოდ ამ ორგანოს საქმიანობასთან კავშირში ჩადენილი ძალადობრივი აქტის ობიექტური და დროული გამოძიება, რომელიც საქართველოს პარლამენტის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. ასევე მნიშვნელოვანია ჩატარდეს დროული გამოძიება და შესაბამისი კვალიფიკაცია მისცეს 2016 წლის 24 დეკემბერს მომხდარ ინციდენტს.

[იხილეთ მეტი]

IDFI-ის შეფასება 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2016 წლის ღონისძიებების შესრულებაზე

IDFI-ის მიერ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2016 წლის ღონისძიებების შესრულებაზე მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს შორისაა:

- პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონიტორინგის მიზნებისთვის მოწოდებული ინფორმაცია ხშირად ზოგადი იყო, არ ჩანდა ღონისძიებასა და პროგრესს შორის კავშირი, რაც ართულებდა მის შეფასებას;
- ღონისძიებებს თან არ ერთვოდა შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- შეუსრულებელ ღონისძიებებში არ იყო მითითებული მიზეზები და შესრულების სავარაუდო დრო;
- 2016 წლის მონიტორინგი განხორციელდა არა წელიწადში ორჯერ, როგორც მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული, არამედ ერთხელ მთელი წლისათვის. ეს პროცესი ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან ერთად მიმდინარეობდა, რამაც გაართულა პროცესი;
- ღონისძიებების შეფასებისას დარღვეული იყო ერთიანი სტანდარტი;
- ღონისძიებების შესრულების სტატუსი, რიგ შემთხვევებში არ შეესაბამებოდა პროგრესის აღწერას.

მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ დანიშნოს სასამართლოს თავმჯდომარეები გაუმჭვირვალე პროცესით



კოალიცია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ საბჭო სასამართლოს თავმჯდომარეების ვაკანსიებს გაუმჭვირვალე პროცესის საფუძველზე და დამსახურების პრინციპის უგულვებელყოფით შეავსებს, ამით სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად შეირყევა, უფრო მეტად გაიზრდება არაფორმალური გავლენები სასამართლო სისტემის შიგნით და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

იხილეთ მეტი

არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა

ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების მომზადებისა და განხორციელების პროცესი წარიმართოს საზოგადოების ზურგს უკან. ამიტომაც მივმართავთ საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს, აგრეთვე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, უახლოეს დღეებში, საკრებულოების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, გაიმართოს შეხვედრა ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, მიუხედავად იმისა, ვინ არის ინიციატივის მომხრე თუ მოწინააღმდეგე, რათა განვიხილოთ თვითმმართველი ქალაქებისა და თემებისთვის სტატუსის გაუქმების თაობაზე სამინისტროს მიერ მომზადებული წინადადებები.

იხილეთ მეტი

კონგრესმენთა დელეგაცია საქართველოში: შეხვედრა პრეზიდენტ გამსახურდიას ოპოზიციასთან

ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტი საქართველოში

IDFI აქვეყნებს 1991 წლის სექტემბერში, მოსკოვში ამერიკის საელჩოდან, სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებას. დოკუმენტში აღწერილია ამერიკის კონგრესმენთა დელეგაციის შეხვედრა საქართველოს იმჟამინდელი ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

იხილეთ მეტი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

2017 წლის 20 მაისს, გაიმართა საქართველოს სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირველი სამუშაო შეხვედრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების საკითხზე. შეხვედრის მიზანი იყო გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის ეროვნული ამოცანების, მათი ინდიკატორებისა და ექსპერტის მიერ შემოთავაზებული შეფასების მექანიზმების განხილვა.

სამუშაო შეხვედრა მოეწყო IDFI-ის მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (US-AID) ხელშეწყობით.

იხილეთ მეტი

საქართველოში პეტიციების ელექტრონული პორტალი იქმნება

სულ მალე საქართველოს მთავრობა ელექტრონული პეტიციების პორტალის ichange.gov.ge-ს ამოქმედებას გეგმავს.

IDFI-მ ჯერ კიდევ 2012 წელს მიმართა ხელისუფლებას რეკომენდაციით, შეექმნა საზოგადოებრივი ჩართულობის პორტალი. ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და იმავე წელს დამტკიცებულ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პირველ სამოქმედო გეგმაში შეიტანა ვალდებულება დაენერგა მოქალაქეთა ელექტრონული ჩართულობის პლატფორმა ichange.ge.

ichange.gov.ge მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლებათ:

- ელექტრონული პეტიციების წარდგენა და ონლაინ ხელმოწერების შეგროვება;
- თუ პეტიცია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ 10,000 ხელმოწერას მოაგროვებს, იგი უნდა განიხილოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილმა კომისიამ;
- ელექტრონული პეტიცია შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზეც;

- საქართველოს მთავრობა ვალდებულია 3 კალენდარული თვის ვადაში უპასუხოს პეტიციის ავტორს;
- პასუხი უნდა განთავსდეს ელექტრონულ პორტალზეც.

[იხილეთ მეტი]

ორთაჭალის ციხის არქივების გადარჩენა

IDFI-ის ძალისხმევით 2013 წელს მოხდა ყოფილი ორთაჭალის ციხის არქივის მოძიება. ინსტიტუტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო არქივის რეაბილიტაციის ინიცირების პროცესში.
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ძალისხმევით მოხდა საარქივო მასალების აღდგენა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ საცავში გადატანა.
IDFI მადლობას უხდის სამინისტროს რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსების მოძიებისა და გაწეული სამუშაოსთვის.

[იხილეთ მეტი]

საქართველოს პარლამენტმა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა ღია პარლამენტის რიგით მეორე, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. გეგმის მიზანია პარლამენტის საქმიანობის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდა და საკანონმდებლო პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. გეგმა 25 ვალდებულებას მოიცავს, რომელთა განხორციელებას პარლამენტი 2018 წლის ბლომდე გეგმავს. სამოქმედო გეგმა მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ IDFI-ისთან თანამშრომლობით განხორციელებული პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

[იხილეთ მეტი]

საინფორმაციო სესია: მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო

‘მდგრადი განვითარების მიზნები არის საერთაშორისო კოლექტიური მცდელობა, რომ საერთო პრობლემები ერთიანი მიდგომებით იქნას მოგვარებული... ეს არის ერთგვარი ანგარიშვალდებულების მექანიზმი, რომელიც 193-მა სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო და

რომლის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა.’ - აღნიშნა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედმა ხელმძღვანელმა საქართველოში შომბი შარპმა საინფორმაციო შეხვაზე ‘მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო’.

შეხვედრა ჩატარდა IDFI-ის მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით.

[იხილეთ მეტი](#)

[რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია დაამტკიცა](#)

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2017-2020) დაამტკიცა.

დოკუმენტი მომზადდა IDFI-ის მიერ სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (Good Governance Initiative – GGI) მხარდაჭერით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 პრიორიტეტულ მიმართულებას:

1. სამინისტროში ეთიკის და კეთილსინდისიერების არსებული მექანიზმების გაუმჯობესება; 2. გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა; 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება; და 4. დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა.

[იხილეთ მეტი](#)

[ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის სტატისტიკა საქართველოში](#)



სახელმწიფო უწყებები არ გასცემენ ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ სრულ ინფორმაციას იმ არგუმენტით, რომ ისინი არ აწარმოებენ ამგვარ სტატისტიკურ მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი

სასამართლოდან მიღებული მონაცემების თანახმად საქართველოში ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის ძალზედ მცირე რაოდენობით შემთხვევები ფიქსირდება, ვფიქრობთ, ეს ვერ იქნება ქვეყანაში ცხოველთა დაცვის მხრივ არსებული რეალური სურათის ამსახველი.

იხილეთ მეტი

საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია CIA-ს დოკუმენტებში



IDFI პირველად აქვეყნებს CIA-ის ანალიტიკურ მოხსენებებს, რომელებიც ეხება საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. დოკუმენტებში რომლებიც მომზადდა 1991 წლის ივნისი -სექტემბერის პერიოდში, განხილულია როგორც იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება, ასევე გამსახურდიას ბიოგრაფია.

იხილეთ მეტი

კერძო-საჯარო დიალოგი კანონპროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე

საქართველოში საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში კერძო და სამოქალაქო ჩართულობის არც ისე ბევრი სამართლებრივი მექანიზმი არსებობს. ამის მიზეზებია:

- *კანონპროექტების ავტორები ვერ აცნობიერებენ ჩართულობის მნიშვნელობას და საჭიროებას;*
- *კერძო-საჯარო დიალოგი არ არის სავალდებულო;*
- *არ არსებობს კერძო-საჯარო დიალოგის საერთო ჩარჩო და გაწერილი პროცედურები;*
- *კანონპროექტის ინიციატორებს არ აქვთ საკონსულტაციო პროცესის წარმართვის საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.*

იხილეთ მეტი

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიაზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით

მოვუწოდებთ:

- საგამოძიებო ორგანოებს დროულად გაასაჯაროვონ ინფორმაცია ამ დრომდე განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ;

- საქართველოს პარლამენტს შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია საქმის დროული და მიუკერძოებელი გამოძიების მიზნით;

- საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს დროულად გადაიდგას ნაბიჯები დაუსჯელობის პრობლემასთან საბრძოლველად და შეიქმნას ეფექტიანი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი.

იხილეთ მეტი

კოალიცია სასამართლოში განვითარებულ პროცესებს უარყოფითად აფასებს

კოალიცია
დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

კოალიციის შეფასებით, საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა შედეგად იწვევს სასამართლო სისტემის "ჩაკეტვას" ხანგრძლივი ვადით, რაც გამორიცხავს სისტემის განახლებას. ეს მათ შორის განპირობებულია პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან გაჭიანურებული და არასაკმარისი რეფორმების განხორციელებით, მიღებული კანონების აღსრულებაში არსებული ხარვეზებით, რაც შედეგად იწვევს სისტემის შიგნით გავლენიანი ჯგუფების კიდევ უფრო გაძლიერებას და სასამართლო სისტემის გაჯანსაღების მრავალი წლით გადავადებას.

იხილეთ მეტი